

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო

# მმართველთა საბჭო

მხოლოდ ოფიციალურ სარგებლობისთვის

წინასწარი დღის წესრიგის 4 ბ) პუნქტი

## გარანტიები

### ბ) გარანტიების შესახებ შეთანხმებათა დადება

ბირთვული იარაღის გაუფრცვლელობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკასა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შეთანხმების დამატებითი ოქმი

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სააგენტოს აცნობა თავისი განზრახვა ხელი მოაწეროს ბირთვული იარაღის გაუფრცვლელობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების თაობაზე თავისი შეთანხმების დამატებით ოქმს (შემდგომში „დამატებით ოქმად“ წოდებული). გარანტიების შესახებ შეთანხმების პროექტი განსახილველად და დასამტკიცებლად უნდა წარუდგინონ მმართველთა საბჭოს მის 1997 წლის სექტემბრის სესიას.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამატებითი ოქმის პროექტის ტექსტის მიღების შესახებ სააგენტოს გენერალურ დირექტორს აცნობეს 1997 წლის 21 აგვისტოს და 1997 წლის 11 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გაგზავნილი წერილებით. 1997 წლის 11 სექტემბრის წერილში საქართველოს რესპუბლიკა აგრეთვე აცნობებს გენერალურ დირექტორს, რომ დამატებითი ოქმის ძალაში შესვლამდე საქართველო 17 მუნდის შესაბამისად დროებით საფუძველზე იყენებს მოცემულ ოქმს.

3. დამატებითი ოქმის პროექტი ეფუძნება ტიპური დამატებითი ოქმის ტექსტს, რომელიც მმართველთა საბჭომ მიიღო 1997 წლის 15 მაისს. დამატებითი ოქმის პროექტის ეგზემპლარს შეიცავს მოცემული დოკუმენტის დანართი.

4. ტიპური დამატებითი ოქმის ტექსტის სახელწოდებაში და პრეამბულის პირველ აბზაცში შეტანილია კორექტივები, რათა აისახოს, თუ როგორია საქმის ვითარება საქართველოს რესპუბლიკასთან დაკავშირებით. გარანტიების შესახებ